2018 წლის ზაფხულში ჩატარებული საგნის გამოცდის სწორი პასუხები და შეფასების სქემები მუსიკაში

I მოსმენის ნაწილი

1-8. თითოეული კითხვა ფასდება 1 ქულით.

1.1 **გ** 1.2 **ბ** 2.1 **დ** 2.2 **დ** 3.1 **ბ** 3.2 **გ** 4.1 **ბ** 4.2 **გ**

5.1 **დ** 5.2 **დ** 6.1 **ბ** 6.2 **გ** 7. **ბ** 8. **გ**

9. ***<u>მელოდიური კარნახი</u>***

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.



სანოტო სისტემაზე მოცემულია გასაღები და საგასაღებო ნიშნები. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. შესაბამისად, ფასდება ყოველი ამ მონაცემის სისწორე (**ზომა, ბგერის სიმაღლე და გრძლიობა**). დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება, შეიძლება, შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით.

შეფასების სქემა:

შეცდომების რაოდენობა	**შეფასება**
0 %	**5**
1%-20%	**4**
21%-40%	**3**
41%-60%	**2**
61%-80%	**1**
81%-100%	**0**

10. *<u>მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი</u>*

დავალება შედგება 5 საკითხისაგან. ჯამური ქულაა 15.

1. **ღია კითხვა. <u>3 ქულა</u>**
2. **დახურული კითხვები, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს. <u>3 ქულა</u>**
   ა) 1 ქულა
   ბ) 1 ქულა
   გ) 1 ქულა
3. **ღია კითხვა. <u>4 ქულა</u>**
4. **დახურული კითხვები, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს. <u>2 ქულა</u>**
5. **ღია კითხვა. <u>3 ქულა</u>**

შეფასების სქემა მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის	
მაქსიმალური შეფასება: 4 ქულა (საკითხი მე-3) 3 ქულა (საკითხები 1, 2,5) 2 ქულა (საკითხი 4)	საკითხი სრულყოფილად არის გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი მსჯელობით.
2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი სწორია, მაგრამ მისი მსჯელობა ზოგადია და სქემატური.
1 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, მაგრამ მსჯელობიდან ჩანს, რომ მას ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა. პასუხი არასწორია ან ბუნდოვანი, აპლიკანტის მსჯელობა მოიცავს საკითხთან შეუსაბამო არგუმენტებსა და განმარტებებს.

1. ნაწარმოების ჟანრია სიმებიანი კვარტეტი; ჟღერს სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობა (ორი ვიოლინო, ალტი, ჩელო). ამ ჟანრის კლასიკური ნიმუში შექმნა ავსტრიელმა კომპოზიტორმა იოზეფ ჰაიდნმა.

2. ა) ვარიაციული ფორმა

   ბ) ლა ეოლიური ან ლა მინორი

   გ) VI VII I ან VI57 VII35 I35 I 57 ან S D T

3. ცინცაძის სიმებიანი კვარტეტის ეს ფრაგმენტი დაწერილია ქართული ხალხური სიმღერის „მზე შინა და მზე გარეთას“ თემაზე. ლირიკულ და სადა სიმღერაში კომპოზიტორმა შეძლო, საფუძველი ეპოვა მრავალფეროვანი განწყობისათვის. მოცემულ ფრაგმენტშიც კონტრასტული მხატვრული სახეები ენაცვლება ერთმანეთს - ლირიკული, სევდიანი, დრამატული, სკერცოზული, ხალისიანი, გროტესკული და ა.შ. კვარტეტის მუსიკაში გამოსჭვივის საფერხულო სიმღერის ნარნარი რიტმიც. ამ მრავალსახეობას კომპოზიტორი აღწევს ტემპით, დინამიკური ნიშნებით, ფაქტურით, შესრულების ხერხებით და ა.შ. კვარტეტში ხალხური ინსტრუმენტების მიბაძვაც განსკუთრებულ ტემბრულ კოლორიტს ქმნის.

მოცემულია თემა და სამი ვარიაცია, რომლებიც ტემპობრივი სხვაობით გამოირჩევა. Lento - სიმღერის თემა ოთხხმიანი პოლიფონიური ფაქტურით არის გადმოცემული. მელოდია თავად კარნახობს ლირიკულ დასაწყისს, მაგრამ ნელი ტემპი, p-დან f-მდე crescendo - decrescendo და ტემბრების ფაქტურული განაწილება ღრმად სევდიან ხასიათს სძენს თემას. ჩელოს ბანის პარტია სევდას აძლიერებს, პირველი ვიოლინოს ტემბრი კი, განსაკუთრებულ სინაზეს, მღერადობასა და ექსპრესიას ანიჭებს მელოდიას; Piu mosso - ტემპისა და დინამიკის (mf, f) მატებას, ალტისა და ჩელოს დაბალი ტემბრების შემოსვლას, ოდნავ დაძაბულ ჰარმონიას, აგრეთვე ტემბრულ კონტრასტებს დაძაბულება შემოაქვს. Allegro molto vivace - განწყობა კვლავ იცვლება, ამჯერად, კიდევ უფრო სწრაფი ტემპი, მაჟორული კილო (A-dur), სინკოპირებული რიტმი, მძაფრი დინამიური კონტრასტი (pp და ff) სწრაფ ტემპში მკვირცხლი და მხიარული თამაშის ემოციებს ბადებს. Allegro maestoso - მოულოდნელად იცვლება მეტრი და ოთხწილად ზომაში ისმის ძირითადი მელოდიის მედიდური, მარშისებური ვარიანტი (კვლავ მინორულ კილოში, ff). თემა ორ ფრაზად იყოფა და ერთმანეთს ენაცვლება ენერგიული, აქცენტირებული სვლა და სკერცოზული ფრაზები; ტემბრული და ფაქტურული დაპირისპირება, დაბალ და მაღალ რეგისტრებში დიალოგივით გაისმის; დასასრულს, მსუბუქი pizzicato ასრულებს ვარიაციას.

4. XX საუკუნე; სულხან ცინცაძე.

5. სულხან ცინცაძე გამოჩენილი კომპოზიტორი, ვიოლონჩელისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. წლების მანძილზე, იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი იყო, უძღვებოდა საკრავთმცოდნეობის კლასს. 60-იანელთა თაობის წარმომადგენელმა, მან მოღვაწეობა დაიწყო პერიოდში, როდესაც ქართველ კომპოზიტორთა წინაშე თანამედროვე ევროპულ კულტურასთან მჭიდრო ინტეგრირების საკითხი დაისვა. ეს პროცესი აისახა ცინცაძის შემოქმედებაშიც. აღიარება მოიპოვა კომპოზიტორის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებმა: ბალეტებმა, ოპერებმა, სიმფონიებმა, თხზულებებმა ფორტეპიანოს, ვიოლინოსა და ჩელოსათვის, კინომუსიკამ და ა.შ., მაგრამ მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი სიმებიანი კვარტეტებით.

ბრწყინვალე ჩელისტისა და საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილისათვის, ეს ჟანრი ყველაზე ახლო აღმოჩნდა. მისი პირველი წარმატებაც (პირველი და მეორე (1947-1948) კვარტეტები) და „გედის სიმღერაც“ (მეთორმეტე (1990) ამ ჟანრთან იყო დაკავშირებული. თორმეტ კვარტეტში ცინცაძის საკომპოზიტორო ოსტატობა და შემოქმედების ძირითადი მხატვრული ტენდენციები გამოვლინდა. პირველი სამი კვარტეტისა და საკვარტეტო მინიატურების რიტმო-ინტონაცია, ჰარმონიული საქცევები და ტემბრული კოლორიტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ხალხურ სიმღერასთან. შემდეგი ეტაპი იყო კინომუსიკის ჟანრი („ჭრიჭინა“, მოგვიანებით, „აბეზარა“, „ბაში-აჩუკი“, „თოჯინები იცინიან“, „ჯარისკაცის მამა“). ამავე პერიოდში, შეიქმნა დრამატული IV კვარტეტი, მოგვიანებით, ბალეტი „დემონი“, II და III სიმფონიები, ინსტრუმენტული კონცერტების „ტრიადა“ და V-VI კვარტეტები. მეექვსე კვარტეტი გამოირჩევა დაძაბული ემოციური ხასიათით, დრამატული და გროტესკული ელემენტების შეთავსებით ნატიფ ლირიკასთან, რთული პოლიფონიური ფაქტურით. ს. ცინცაძეს წარმატება მოუტანა ბალეტმა „რივარესმა“; მისი მომდევნო შემოქმედებითი მიღწევაა X კვარტეტი. ბოლო წლების ნაწარმოებებიდან კი გამოირჩევა „24 პრელუდია ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისათვის“, რომლის პრემიერა შედგა ლიანა ისაკაძის შესრულებით.

მოვისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი ცინცაძის მეორე სიმებიანი კვარტეტის მესამე ნაწილიდან, რომელსაც საფუძვლად დაედო ქართული ხალხური სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“. „მზე შინა“ წარმართული, ძეობის რიტუალთან, მზის თაყვანისცემასთან დაკავშირებული ხალხური ორხმიანი სიმღერაა. ამ საწესო საფერხულო სიმღერას, გაბმული ბანის ფონზე, მონაცვლეობით ასრულებდა ორი ქალი. შემდეგ, იწყებოდა ღამისთევა გართობა-თამაშით; ლხინი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. შესაძლებელია, საფერხულო სიმღერის შესრულების რიტუალმა, როგორც ძეობის ლხინის ნაწილისა, კომპოზიტორს შთააგონა, შეექმნა ვარიაცები ამ სიმღერის თემაზე და გადმოეცა განსხვავებულ განწყობათა მონაცვლეობა.

II ნაწილი

11-26. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

11. ბ 12. ბ 13. გ 14. დ 15. დ 16. დ 17. გ 18. გ

19. გ 20. გ 21. გ 22. ბ 23. გ 24. ბ 25. დ 26. ბ

27-30. *<u>სოლ ნოტიდან აგება</u>*

თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით. ჯამური ქულაა 4.

27. წმინდა კვარტა 28. მინორული სექსტაკორდი 29. შემცირებული სეპტაკორდი

30. ჰარმონიული მაჟორული კილო



31-33. *<u>შესაბამისობა</u>*

თითოეული დავალება ფასდება 3 ქულით.

31.	31.1. დ)	32.	32.1. ე)	33.	33.1 დ)
	31.2. ბ)		32.2. გ)		33.2. გ)
	31.3. ა)		32.3. ა)		33.3. ე)

34-38. *<u>ჭეშმარიტია-მცდარია</u>*

თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით. ჯამური ქულაა 5.

34. ჭეშმარიტია □ **მცდარია** ×

✍ სიმღერები „ლილე“ (სვანური) და „ხერტლის ნადური“ (აჭარული) - დასავლეთ საქართველოს ფოლკლორის ნიმუშებია **ან** ჩამოთვლილ სიმღერათაგან მხოლოდ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ არის აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორის ნიმუში.

35. ჭეშმარიტია ◻ **მცდარია** ×

✍ „ალი ფაშა“ გურული სიმღერაა, ხოლო ბურდონული ბანი ქართლ-კახურ სიმღერებს ახასიათებს.

36. ჭეშმარიტია ◻ **მცდარია** ×

✍ მიუზიკლის ჟანრი შეიქმნა აშშ-ში.

37. ჭეშმარიტია ◻ **მცდარია** ×

✍ გერმანული ოპერის ფუძემდებელია კარლ ვებერი.

ან იოჰან სებასტიან ბახს არ შეუქმნია არცერთი საოპერო ჟანრის ნაწარმოები.

38. ჭეშმარიტია ◻ **მცდარია** ×

✍ მადრიგალი მრავალხმიანი სასიმღერო ჟანრია.

39-40. ***<u>ქრონოლოგიის დადგენა</u>***

თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით. ჯამური ქულაა 2.

39.

1	2	3	4
დ	ბ	ა	გ

40.

1	2	3	4
ა	გ	დ	ბ